



დავით აღმაშენებლის გამზ. N79  
0102 თბილისი, საქართველო  
info@heritagesites.ge

**სსიპ საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტო**

15 / იანვარი / 2025 წ.



№ 17/52

სსიპ - სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების  
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,  
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 14 იანვრის № 6/632 კორესპონდენცია, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახატანში მდებარე 22090.90 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 71.64.86.1173) ნაწილის - 21.00 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიწის 21.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის - „იოანე ნათლისმცემლის კომპლექსი“ (გის #10500) (საქართველოს პრეზიდენტის 07/11/2006 #665 ბრძანება) ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახატანში მდებარე 22090.90 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 71.64.86.1173) ნაწილის - 21.00 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით პრივატიზების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დამცავ ზონებში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, უძრავი ქონების შემდგომ განვითარების, მათ შორის, მასზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, საჭიროა, ნებისმიერი ქმედება დადგენილი წესით შეთანხმდეს ყველა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან, მათ შორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

